ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის **ოქტომბრამდე** პერიოდს)

მოგესალმებით პატივცემულო საკრებულოს წევრებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას.

მოგეხსენებათ, საკრებულო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი უფლებამოსილების შესაბამისად, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიასა და ძირითად მიმართულებებს, აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირთა საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე.

საკრებულოს სხდომები და მიღებული გადაწყვეტილებები

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჩემ ანგარიშში ყურადღებას გავამახვილებ საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე.

მოგეხსენებათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 33 წევრისაგან. მათგან 22 არჩეულია პროპორციული, ხოლო 11 მაჟორიტარული სისტემით.

საკრებულოს სხდომები ტარდება ორგანიზებულად, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვითა და საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში დღემდე ჩატარებულია საკრებულოს 18 სხდომა, (მორიგი - 9; რიგგარეშე - 9) და ბიუროს 19 სხდომა (მორიგი -10

რიგგარეშე - 9). საკრებულოს სხდომებზე მიღებულ იქნა 47 განკარგულება და 23 დადგენილება.

სხდომების მომზადებისა და ჩატარებისას დიდი ყურადღება ექცევა საჯაროობის პრინციპების დაცვას, ყველა სხდომის მოწვევისა და მათი დღის წესრიგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება კანონის სრული დაცვით, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე-3 სართულზე განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე. ასევე, საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და ღიაობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოციალური ქსელების აქტიურ გამოყენებას.

სხვადასხვა ორგანიზაციულ და საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის 240 ბრძანება.

ბიურო

საკრებულოს საქმიანობის ორგანიზებისა და გამართული ფუნქციონირებისათვის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების, კომისიების თავმჯდომარეებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების შემადგენლობით ჩამოყალიბებულია საკრებულოს ბიურო, რომელიც განისაზღვრა 11 წევრით.

კომისიები

მოგეხსენებათ, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია.

1. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია,

2. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია,

3. განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია,

4. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია,

5. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

თითოეული კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში, მათ მიერ ჩატარებულია 58 სხდომა. განხილულია 95 საკითხი. კომისიების მიერ ჩატარებული ყველა სხდომა იყო ღია და საჯარო. სხდომების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული აღმასრულებელ ორგანოთა წარმომადგენლები.

ფრაქციები

მოგეხსენებათ, საკრებულოში, საკრებულოს წევრთაგან, შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე ორი ფრაქცია:

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო,“
2. ფრაქცი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.“

ფრაქციები საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით ატარებენ საკუთარ კურსს, გამოხატავენ ფრაქციის ერთიან პოზიციას საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, თავიანთ სხდომებზე იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე.

საკრებულოს წევრები

საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით.

მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოს წევრები აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამართულ სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ, პროფესიულ და სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. აგრეთვე, უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, ჩართული არიან როგორც მიმდინარე პროექტების მონიტორინგში, ასევე მოსახლეობის ყოფითი პრობლემების შესწავლისა და მოგვარების საკითხებში.

საკრებულოს აპარატი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული წესით, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების უფლებამოსილებების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, აპარატი შედგება შტატით გათვალისწინებული 6 და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 6 საჯარო მოსამსახურისაგან.

საკრებულოს აპარატის მიერ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობას, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალ პროფესიულ დონეზე რედაქტირებას, საკრებულოს მიერ განსახილველი პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, სამართლებრივი აქტების გამოცემისა და პრაქტიულად გამოქვეყნების საკითხებს, საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომების ოქმების კანონით დადგენილი წესით მომზადებასა და შედგენას, საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადების დაცვას.

საჯარო ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 14 წერილობითი განცხადება. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, ასევე საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულია საკრებულოს აპარატის უფროსი.

ბიუჯეტი

საკრებულოს მიერ, ყოველთვის მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის მიღებას წინ უსწრებდა ბიუჯეტის განხილვის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები. პროექტი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საყოველთაო განხილვის მიზნით, გამოქვეყნდა პროაქტიულად, გაიმართა საჯარო შეხვედრები, საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე, კომისიების მიერ შემუშავდა დასკვნები, რომლებშიც ჩამოყალიბებული წინადადებების დიდი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ბიუჯეტის პროექტში.

2024 წლის 17 დეკემბერს საკრებულომ დაამტკიცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტი. დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 19 767,3 ათასი ლარით, წლის გამავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად 1,5 ჯერ და მეტად 11 032,0 ათასი ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და

განისაზღვრა 30 799,3 ათასი ლარით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს. შემოსულობები გაიზარდა როგორც სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასევე საკუთარი საბიუჯეტო შემოსულობების ხარჯზე. 2025 წლის ცხრა თვის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 105,0 %-ით.

ამასთანავე, ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 20 282,6 ათასი ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში გაიზარდა 16 306,6 ათასი ლარით და განისაზღვრა 36 589,2 ათასი ლარით.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას. 2025 წელს დღემდე, საკრებულოს მიერ მოსმენილი იქნა ბიუჯეტის პირველი და მეორე კვარტლის შესრულების შედეგები.

მუნიციპალიტეტში 2022 წლიდან წარმატებით ხორციელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდასა და მათი ინტერესების გათვალისწინებას. მიმდინარე წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსახლეობის აქტიური ჩართულობით დაბა ხარაგაულიდან და სხვადასხვა სოფლებიდან წარმოდგენილი იყო 21 საპროექტო წინადადება. კენჭისყრაზე გადავიდა 15, ხოლო გამარჯვებულად გამოცხადდა10 პროექტი.

გამარჯვებული პროექტებია:

- გარე განათების ქსელის მოწყობა-სოფელი ამაშუკეთი;
- საბავშვო სპორტული გამაჯანსაღებელი სკვერის მოწყობა სოფელი მაქათუბანი;
- საბავშვო სპორტული გამაჯანსაღებელი სკვერის მოწყობა სოფელი საქასრია ;

- კვეცხნალის წყაროს რეაბილიტაცია და სკვერის მოწყობა სოფელი ვარძია;
- სოფლის საუკუნოვანი წყაროს რეაბილიატცია სოფელი ღორეშა;
- ბავშვთა და მოზარდთა დასასვენებელი სკვერის მოწყობა-პატარა ხარაგაული’
- ხანდების კლდის განათება;
- საკონცერტო აპარატურის შეძენა;
- ღომეეთის სალოცავთან დასასვენებელი ადგილის მოწყობა;
- სკვერში ღია სპორტული ტრენაჟორების მოწყობა სოფელი ნებოძირი.

წარმომადგენლობითი ხარჯი

2025 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაგეგმილი ჰქონდა წარმომადგენლობითი ხარჯი 5,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულია მხოლოდ 32 ლარი.

ამასთანავე, მინდა მოგახსენოთ, რომ 2025 წელს საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი სარგებლობისთვის გადმოცემულ ავტომანქანისთვის განსაზღვრული იყო 4500 ლიტრი საწვავი. ამჟამად აღნიშნული საწვავის ლიმიტიდან დარჩენილია 437 ლიტრი.

ინფრასტრუქტურა

აღსანიშნავია, რომ საკრებულო ყოველთვის მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ასევე სხვა ფონდებიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. აღნიშნულ

საკითხებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებებით მოწონებულ იქნა მთელი რიგი საპროექტო წინადადებები.

საანგარიშო პერიოდი, ისე როგორც გასული წელი, გამორჩეული იყო ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლითადა მათი დადგენილ ვადებში შესრულებული სამუშაოების ხარისხით.

2025 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N1955 (31.12.2024) განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველი და მეორე ეტაპით ჯამში გამოეყო 6 652 643 ლარი, დაფინანსდა 46 პროექტი. პროექტების განკარგულების ვადებში განხორციელების და დახელშეკრულებების გამო მუნიციპალიტეტი იღებს ბონუსებს, რის გამოც მიმდინარე წელს გამოყოფილი ჯამური თანხა 601 372 ლარით მეტია წინა წლის თანხაზე, რამაც მოგვცა საშუალება განვახორციელოთ დამატებითი პროექტები. დაფინანსებული 46 პროექტიდან 42 იყო გარდამავალი 2024-2025-2026 წლებში. ამ დროისათვის 46 პროექტიდან 37 პროექტი დასრულებულია, 2 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, 7 პროექტზე მიმდინარეობს ტენდერი. წინსწრებით დასრულებულია 1 მილიონ ლარამდე სამუშაო 8 პროექტი.

N	**2025 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება**	**სტატუსი**	**პროექტის განხორციელების პერიოდი წწ**	**პროექტის სრული ღირებულება**	**რეგ.ფონდი**	**გამარჯვებული ორგანიზაცია**
1	ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	459,169.17	239,170.00	შპს ალპედე

2	სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	545,030.52	320,031.00	შპს ალპედე
3	სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	548,906.27	348,907.00	შპს მეკა
4	სოფელ ბაზალეთში ლომსაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	645,851.00	132,080.00	შპს მეკა
5	სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (საუბნო გზები 2 უბანში)	მიმდინარეობს დაპიკეტაჟება დაკვალვის პროცესი, გრუნტის სამუშაოები	2024-2025	1,080,000.00	486,905.00	შპს Georgian Build
6	სოფელ ღუდუმექეთში გზის რეაბილიტაცია (კახორის ეკლესიამდე მისასვლელი გზა)	მიმდინარეობს დაპიკეტაჟება დაკვალვის პროცესი, გრუნტის	2024-2025	713,462.71	360,224.00	შპს Georgian Build

		სამუშაოები				
7	სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (მელქაძეების უბანი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	426,774.75	226,775.00	შპს მშენებელი 2022
8	სოფელ ვაშლევში გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	484,897.62	284,898.00	შპს მშენებელი 2022
9	სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	320,330.85	120,331.00	შპს მეკა
10	სოფელ ჯაფაროულში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	229,580.26	59,417.00	შპს გგ
11	სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	655,541.77	67,949.00	შპს სანდრო
12	სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (გუბათის უბანი II ეტაპი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	211,378.60	66,379.00	შპს მეკა
13	სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2024-2025	480,459.01	230,460.00	შპს ფირმა იმედი

	(კაჟნარი-კოდაბოლოს უბანი)	საკასოთი				
14	ბორი-საქარიქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	499,868.81	245,833.00	შპს სანდრო
15	სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ელაზნაურის და არევაძის უბანი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	645,851.00	10,227.00	შპს მეკა
16	სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (ჭილოფის უბანი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	403,331.74	111,980.00	შპს მეკა
17	სოფელ საღანძილის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მაღლამინდორის უბანი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	389,620.22	66,856.00	შპს ფირმა იმედი
18	სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	173,141.71	53,142.00	შპს მშენებელი 2022
19	სოფელ ღუდუმექეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2024-2025	130,537.29	43,310.00	შპს Georgian Build

20	სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	149,762.92	49,763.00	შპს გგ
21	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	258,317.93	108,318.00	შპს იმესი
22	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ვარძიაში გზის რეაბილიტაცია (დვლების უბანი)	დასრულებულია საკასოთი	2024-2025	346,590.37	126,590.00	შპს ბორი
23	სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	705,555.00	174,296.00	შპს გგ
24	სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტააცი (ბუნგების უბანი)	მიმდინარეობს დაპიკეტაჟება დაკვალვის პროცესი, გრუნტის სამუშაოები	2025-2026	300,677.85	100,000.00	შპს ქონქრით მენ
25	სოფელ წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2025-2026	177,777.00	100,000.00	შპს დანი

	(ბუდიანეთის უბანი)					
26	სოფელ ბორითში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2025-2026	601,151.00	200,000.00	შპს მშენებელი 2022
27	სოფელ კიცხში საუბნო გზების რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2025-	160,231.00	128,185.00	შპს დანი
28	სოფელ ვახანში საუბნო გზების რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	620,000.00	150,000.00	შპს გგ
29	სოფელ ლახუნდარის საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2025-2026	261,971.00	130,000.00	შპს სანდრო
30	სოფელ დეისში (კაპანაძეები) საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	187,777.00	100,000.00	შპს დანი
31	სოფელ ვერტყვიჭალაში (სკოლა) საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2025-2026	320,665.00	100,000.00	შპს იმესი
32	სოფელ ხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2025-2026	261,930.00	100,000.00	შპს ქონქრით მენ

33	სოფელ ღორეშაში საუბნო გზების რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	395,116.00	150,000.00	შპს იმესი
34	სოფელ ფარცხნალში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	279,996.60	170,000.00	შპს სანდრო
35	სოფელ საბეში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	298,726.85	100,000.00	შპს მ გრუპი
36	სოფელ ბორში გზის რეაბილიტაცია	მიმდინარეობს ბეტონის საფარის დაგება	2025-2026	299,776.62	150,000.00	შპს სანდრო
37	სოფელ წაქვაში (ზედა უბანი) საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	217,777.00	150,000.00	შპს დანი
38	სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია	2025-2026	286,777.00	200,000.00	შპს ქონქრით მენ
39	სოფელ ხემაღალში გზის რეაბილიტაცია	დასრულებულია საკასოთი	2025-2026	349,121.91	125,000.00	შპს სანდრო
40	პატარა ხარაგაულში საუბნო გზების რეაბილიტაცია	ტენდერზეა	2025-	66,641.00	66,641.00	

41	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	ტენდერ ზეა	2025-2026	199,434.00	100,000.00	
42	სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	ტენდერ ზეა	2025-2026	319,038.00	150,000.00	
43	ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია	ტენდერ ზეა	2025-2026	320,115.00	100,000.00	
44	სოფელ ქროლში საუბნო გზის რეაბილიტაცია	ტენდერ ზეა	2025-2026	152,489.00	52,331.00	
45	სოფელ წიფში საუბნო გზის რეაბილიტაცია	ტენდერ ზეა	2025-2026	118,694.00	52,331.00	
46	სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია	ტენდერ ზეა	2025-2026	155,655.00	52,332.00	

მაღალმთიანი დასახლება

გასულ წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 19 აპრილის N550 განკარგულებით გამოეყო 500 000 ლარი, დაფინანსდა 2 პროექტი:

N	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	მთის ფონდი
1	სოფელ წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	200,000.00
2	ზვარის ა/ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაცია (ჭენჭეხის უბანი, ორთოიძეების უბანი, ჩრდილი)	300,000.00
		500,000.00

ხოლო რაც შეეხება 2025 წელს, აღნიშნული ფონდიდან არ მომხდარა ახალი პროექტების დაფინანსება, დაფინანსდა მხოლოდ გარდამავალი პროექტი სოფელ წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია-270 000 ლარი, რომლის სამუშაოებიც დასრულებულია.

სოფლის პროგრამა

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 1 168 400 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 278 400 ლარი. დაფინასდა 164 პროექტი. ამდროისათვის ხელშეკრულებების 90% გაფორმებულია, რომლებზეც მიმდინარეობს სამუშაოები, უკვე დასრულებულია 52 პროექტი. შემოდგომაზე ყველა პროექტი იქნება დასრულებული.

სტიქია

2025 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფლი იქნა 1 120 000 ლარი, რომლითაც დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტები, ჯამში 11 პროექტი რომელთაგან 4 უკვე დასრულებულია, 7- ზე მიმდინარეობს სამუშაოები:

N	2025 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	სტატუსი	რეგ.ფონდი	გამარჯვებული ორგანიზაცია
1	სოფელ გედსამანიაში ,,უსახელო ღელეზე" დაზიანებული 1 ერთეული სცალფეხო ხიდის აღდგენა	მიმდინარეობს	5,909.85	შპს მეკა
2	სოფელ გედსამანიაში ,,ღებარა ღელეზე" ხიდ-ბოგირის მოწყობა	მიმდინარეობს	3,961.61	შპს მეკა

3	სოფელ გედსამანიაში ბლიაძეების უბანში 3 ერთეული ხიდ-ბოგირის მოწყობა	მიმდინარეობს	63,802.80	შპს მეკა
4	სოფელ გედსამანიაში 7 ადგილზე ნაპირდამცავი კედლის/გაბიონის მოწყობა	მიმდინარეობს	317,644.54	შპს ელიტ ბილდერს გრუპი
5	სოფელ გედსამანიაში მდინარის და ღელის კალაპოტის ფორმირება საჭიროების მიხედვით ნატანის ამოღება გატანით	მიმდინარეობს	119,246.25	შპს ელიტ ბილდერს გრუპი
6	სოფელ წაქვაში გზის დამცავი კედლის მოწყობა	დასრულებულია საკასოთი	26,597.76	შპს ელიტ ბილდერს გრუპი
7	სოფელ ვერტყვიჭალაში ბლიაძეების უბანში მისასვლელ გზაზე (აკაკი ბლიაძის სახლის მიმდებარედ) საყრდენი კედლის მოწყობა	დასრულებულია საკასოთი	23,299.37	შპს ელიტ ბილდერს გრუპი
8	სოფელ გედსამანიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჩადუნლების უბანი)	მიმდინარეობს	392,151.51	შპს მეკა

9	სოფელ გედსამანიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (რიკაძეების უბანი)	მიმდინარეობს	167,386.31	შპს მეკა
10	სოფელ საღანძილეში თამაზ კიკნაძის სახლის მიმდებარედ არსებულ (ჩუჩქნა) ღელეში დამცავი კედლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა	დასრულებულია საკასოთი	17,129.00	ი.მ. ნიკა ოსანაძე
11	სოფელ ლეღვანში ,,ჭინალის" უბანში სტიქიისგან დაზიანებულია გზის რეაბილიტაცია/აღდგენის სამუშაოების შესყიდვა	დასრულებულია საკასოთი	21,593.00	ი.მ. ნიკა ოსანაძე

მიმდინარე წლის თებერვალი-მარტის თვეში განვითარებულმა სტიქიამ (დიდთოვლობა) დიდი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, უმოკლეს დროში მუნიციპალიტეტის მერიაში შესწავლილი იქნა 252 განცხადება, ძირითადი დაზიანება ეხებოდა სახლის სახურავებს, ჯამში დაზიანებამ შეადგინა 12 000 კვმ ფართობი. მონაცემები წარდგენილია შესაბამის უწყებაში დაფინანსების მისაღებად. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დიდთვოლობის დროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური მუშაობდა საგანგებო რეჟიმში, მაქსიმალურად ხდებოდა ტექნიკის, საწვავისა და სხვადასხვა საჭიროებების სოფლებისთვის მიწოდება, რამაც უმოკლეს დროში შესაძლებელი გახადა ჩაკეტილი გზების გახსნა.

ამასთანავე, მინდა მოგახსენოთ სოფელ ხემაღალსა და ღვერკში განვითარებული საყოველთაოდ ცნობილ მეწყრული პროცესების შესახებ.

სოფელ ხემაღალსა და ღვერკში სტიქიის ნიშნების შეტყობინებისთანავე მერიის მხრიდან დაიწყო გარკვეული ღონისძიებების გატარება, პირველ რიგში მოხდა როგორც სატელეფონი ასევე წერილობითი შეტყობინება გეოლოგიის დეპატამენტზე მეწყრული პროცესების შესწავლის მოთხოვნით. ასევე ადგილზე გავიდა მერიის თანამშრომლები ვიზუალური შესწავლის მიზნით. გეოლოგიური დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული ოჯახების მდგრად, უსაფრთხო ადგილზე გაყვანას მერიის თანამშრომლების მიერ კარდაკარის პრინციპით დაიწყო მოსახლეობის გართხილება და გაყვანა უსაფრთხო ზონაში რასაც ადასტურებს შესაბამისი აქტები, პარალელურად მერის უშუალო ჩართულობით სტიქიის ზონაში რამდენჯერმე მოხდა მოსახლეობასთან შეხვედრა, ასევე ინფორმაციული შეხვედრა ჩაინიშნა მერიის შენობაში დაკვეთილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარებამდე და მის შემდეგაც კინოთეატრის შენობაში სადაც მოწვეულები იყვნენ სახვადსხვა ოფიციალური პირები და გეოლოგები მოსახლეობისთვის მეტად ინფორმირების მიზნით. გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ვიზუალური დასკვნების და მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მერიის მიერ ბაზრის კვლევის პრინციპით შეირჩა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის წარმოებისთვისთვის შპს "გეოლოჯიქ"-ი რომელმაც მოახდინა მეწყრული ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა და წარმოადგინა შესაბამისი ექსპერტიზის გავლის შემდეგ. შესაძლო საფრთხეების თავის აცილების მიზნით მერიამ მოახდინა სტიიის ზონაში და მიმდებრად საინფორმაციო ბანერების განლაგება, მოხდა დამეწყრილი გზების გადაკეტვა და მონიშვნა უსაფრთხოების ლენტებით, სოფლის შესასვლელში, მდინარე ყარნებას მიმდებარედ შედარებით უსაფრთხო ადგილზე მოეწყო შლაგბაუმი და მიმდინარეობდა 24 საათიანი მონიტორინგი როგორც მდინარის ასევე მოსახლეობის გადაადგილების, მორიგე პერსონალი ახდენდა მონაცემების ჟურნალში ასახვას. სხვადასხვა სამსახურების შემადგენლობით შეიქმნა სპეციალური შტაბი სადაც დაისახა მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა და საჭირო ღონისძიებები, შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელად განსაზღვრული იქნა მუნიციპალიტეტის მერი. შტაბის გადაწყვეტილებით მიემართა რკინიგზის და საგზაო დეპარტამენტებს თხოვნით მძიმე ტექნიკის გამოყოფის შესახებ, რომლებმაც მოახდინეს მდინარე ყარნებას რამდენიმე შეგუბებული მონაკვეთის გახსნა და კალაპოტის ფორმირება, გახსნითი სამუშაოები

ახლაც მიმდინარეობს ბოლო შეგუბებაზე. ასევე შტაბის მუშაობის შედეგად შედგენილ სავეაკუაციო გეგმაზე განსაზღვრული იქნა შემოვლითი უსაფრთხო გზების არსებობის აუცილებლობა რომლის გაჭრაც მოხდა სწრაფ ტემპში, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა გზამ საშუალება მისცა მერიას დაენიშნა საზოგადოებრივი ტრანსპორტი რომელიც ზედა ხემაღალში დარჩენილ მოსახლეობას მოემსახურება. მოსახლეობას როგორც ფიზიკურად გადადაადგილებაში ასევე ავეჯის და სხვა ქონების ტრანსპორტირებაში აქტიურ დახმარებას უწევდა მერიის სამსახურები, ტრანსპორტირება ხდებაოდა სხვადასხვა ქალაქებში მერიის მიერ ნაქირავები ტრასნპორტით. შეგუბებული მდინარე ყარნებას გახსნის სამუშაოებს უშუალოდ ადგილზე ხელმძრბვანელობდნენ მუნიციპალიტეტის მერი, იმერეთის სამხარეო რწმუნებული და რეგიონული მინისტრის მოადგილე, რომლებიც ასევე მონაწილეობას იღებდნენს საინჟინრო გეოლოგირი კვლევის საჯარო განხილვაშიც.

აღნიშნული სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს მუნიციპალიტეტის მიერ რამდენიმე ეტაპად გაეწია ფინანსური და სხვა სახის დახმარება. ამ ეტაპზე თავშესაფრით უზრუნველყოფილია ყველა ოჯახი ვისაც ამის საჭიროება გააჩნია. კერძოდ, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ბინის ქირას უხდის აღნიშნული სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ 22 ოჯახს, ხოლო მუნიციპალიტეტის მერია 7 ოჯახს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. აგრეთვე, 49 ოჯახს ეტაპობრივად დახმარების სახით სულ ჩაერიცხა 80400 ლარი. ამ მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტი მზად არის, თავის უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში კვლავ გაუწიოს დახმარება ზემოთ ხსენებული სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

ადგილობრივი დაფინანსება

გასულ წელს ადგილობრივი დაფინასებით ძირითადად განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული გადაუდებელი აუცილებლობით აღსადგენი ობიექტები და სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტები, ხოლო მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები მობილიზებული იქნა თანადაფინანსებებშიც, კერძოდ: 278 400 ლარით დაფინანსდა სოფლის

მხარდაჭერის პროექტები, 157 ათასი ლარით მოხდა ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“-პროექტების თანადაფინანსება.

ასევე მიმდინარეობს ინოვაციური პროგრამის ,,სამოქალაქო ბიუჯეტი“-ის განხორციელებაც, მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის პრინციპით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2024 წელში გამარჯვებული პროექტების განხორციელების ეტაპი და დასრულდა 2026 წელში განსახორციელებელი პროექტების ხმის მიცემა.

N	2025 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის ღირებულება	დასრულების თარიღი	გამარჯვებული ორგანიზაცია
1	დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე კინოთეატრის შენობის მიმდებარედ დასასვენებელი ტერიტორის (სკვერი) მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	სკვერი	152,325.00	14.04.2025	**შპს ელიტ ბილდერს გრუპი**
2	სოფელ კიცხში საუბნო გზის (ავალიშვილების უბანი) რეაბილიტაციის/მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა	გზა	30,000.00	25.04.2025	**შპს ნნდ გრუპ**
3	სოფელ ღორეშაში საბავშვო სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	სკვერი	30,852.00	08.07.2025	**კოკა კეკელიძე**

4	სოფელ სარგვეშში ვეფხვაძეების უბანში დასასვენებელი, სპორტული და კულტურული ნაგებობის (წყარო) რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	წყარო	31,743.00	22.08.2025	
5	სოფელ ვახანში საჭიდაო არენის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა	არენა	94,711.00	08.07.2025	**კოკა კეკელიძე**
6	სოფელ საღანძილეში დასასვენებელი და სპორტული ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	სკვერი	39,794.00	08.07.2025	**ანზორ ლაცაბიძე**
7	სოფელ ზვარეში სპორტული მოედნის რეაბილიტაციიის სამუშაოების შესყიდვა	მოედანი	56,114.00	08.07.2025	**ანზორ ლაცაბიძე**
8	სოფელ ბორითში სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	სკვერი	42,020.00	08.07.2025	**კოკა კეკელიძე**
9	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბაში, წერეთლის ქუჩა N17-ში სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	სადრენაჟე	44,892.00	16.07.2025	
10	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხუნევის ადმინისტრაციულ	მოედანი	113,523.00	28.07.2025	**შპს მიქს ბილდერი**

	ერთეულში, სოფელ ხუნევში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა				
11	დაბა ხარაგაულში თაბუკაშვილის ქ. #6-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავისა და სოლომონ მეფის ქ. #56ა-ში მდებარე (ამხანაგობა ნარიყალა) საცხოვრებელი კორპუსის აივნის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	გადახურვა	28,811.00	22.08.2025	
12	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად საჭირო პოლიეთილენის მილებისა და მილის შემაერთებლების შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად	წყალი	49,978.00	15.08.2025	
13	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად საჭირო ახალი პლასტმასის ვერტიკალური ორ შრიანი (გარედან ლურჯი შიგნიდან თეთრი) ავზების შესყიდვა	წყალი	23,135.00	11.08.2025	

	დანართი N1-ის შესაბამისად				
14	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშე-საქარიქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის/მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა	გზა	168,014.00	15.08.2025	
15	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნევში კალოს უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	გზა	162,851.00	20.08.2025	
16	დაბა ხარაგაულში არსებული სპორტული დარბაზის შესასვლელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	სპორტდარბაზი	1,601.00	18.08.2025	

ადგილობრივი ბიუჯეტით ამ ეტაპზე უკვე შესრულებულია და მიმდინარეობს 1 070 000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები.

ჯანმრთელობის დაცვა

როგორც ყოველთვის, საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. ამ მიზნის განსახორციელებლად ყოველწლიურად იზრდება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება, რომელიც მხარდაჭერილია საკრებულოს მიერ. მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ჯანდაცვისა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვს 1 078 100 ლარით მეტი დაიგეგმა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 23 ქვეპროგრამით. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სოციალური მიმართულებით მუშაობს 21 ქვეპროგრამა. საანგარიშო პერიოდში ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით განხორციელებული პროგრამებია:

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და რამდენიმე ქრონიკული დაავადების მედიკამენტის დაფინანსებას. ქვეპროგრამაზე მიმდინარე წელს დაგეგმილია 500,0 ათასი ლარი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1129 მოქალაქემ.

06 03 03 შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას და ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას. კოხლეარული იმპლანტის ელემენტით ყოველწლიურად სარგებლობს 3 არასრულწლოვანი, მომვლელის დახმარებით გასულ წელს სარგებლობდა 56, ხოლო მიმდინარე წელს მოსარგებლეა 63 შშმ პირი. ყოველთვიური განსაზღვრულია თვეში 70 ლარით. ასევე, მიმდინარე წელს გაიზარდა შშმ ბავშვთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 1400 ლარამდე. ქვეპროგრამაზე გასულ წელთან შედარებით დაიგეგმა 5,0 ათასი ლარით მეტი. დაკმაყოფილდა 21 განცხადება და დაიხარჯა 13 315 ლარი.

06 03 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ქვეპროგრამის განსახორციელებლად მიმდინარე წელს დაგემილია 1,0 მლნ ლარი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 3149 მოქალაქემ და დაიხარჯა 833 910 ლარი.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს მიმდინარე წლიდან ყოველთვიურად ერიცხება 250 ლარი. დიალიზის პროგრამაში დღეის მდგომარეობით ჩართულია 16 მოქალაქე. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით და მოსარგებლეა 6 ბენეფიციარი.

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებით სარგებლობს ოჯახი, რომელსაც ყავს 4 და მეტი შვილი. დახმარებება თითოეულ ბავშვზე განისაზღვრება 100 ლარით. საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 25 300 ლარი და ისარგებლა 58 ოჯახმა.

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამით გასულ წელს ყოველთვიურად სარგებლობდა 21 მარტოხელა მშობელი, მიმდინარე წელს სარგებლობს _ 25 ბენეფიციარი.

06 03 08 მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება. დახმარების მიმღებია დედით ან მამით ობოლი ან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული 21 წლამდე ასაკის პირი. დახმარება გაიწევა ყოველთვიურად, ბენეფიციარზე 50 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით მოსარგებლეა 51 მარჩენალდაკარგული პირი.

06 03 09 ყოველთვიური დახმარების ქვვეპროგრამის ბენეფიარები არიან უსინათლოები და დევნილები. დახმარება განსაზღვრულია 70 ლარით. საშუალოდ მოსარგებლეა 94 მოქალაქედა დახარჯულია 53 200 ლარი.

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება ,,ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16

მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი.

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქე. დახმარება მიმდინარე წლის ივლისიდან განისაზღვრება 2 000 ლარით. ამ დროისთვის გვყავს 5 ბენეფიციარი.

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება. დახმარება მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. დახმარება გაიწევა ქვეპროგრამით დადგენილ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებსა და დღესასწაულის დღეებში სხვა მოწყვლად ჯგუფზე. ქვეპროგრამით სისტემატურად მოსარგებლეა 19 ბენეფიციარი, საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებში დახმარება გაცემულია 2217 ოჯახზე და დახარჯულია 213 750 ლარი.

06 03 13 სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; დახმარების მიმღებია 65000 სარეიტინგო ქულამდე გარდაცვლილის ოჯახი და დახმარება განისაზღვრება 250 ლარით, ხოლო მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი პირის დაკრძალვისთვის განსაზღვრულია 300 ლარი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 29 ოჯახმა.

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, ივლისის თვიდან მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით, მესამე_250 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილებულია 64 განცხადება.

06 03 16 ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა. დაკრძალვის ხარჯი შეადგენს 250 ლარს და ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში თანხა არ დახარჯულა.

06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას, უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებლით (ბინის ქირით) უზრუნველყოფას. გასულ წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 13 მოქალაქეს, ამ ეტაპზე მოსარგებლეა 24 პირი. აღსანიშნავია, რომ მოსარგებლეთა რაოდენობა გაზრდილია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების დასკვნების საფუძველზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ მომეტებული საფრთხის ქვეშ და საჭიროებენ განსახლებას. სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა კატეგორიის 127 ოჯახს გაეწია დახმარება 134 550 ლარით. მათ შორის, პირველი კატეგორია - 2 ოჯახი, მეორე კატეგორია - 111 ოჯახი, მესამე კატეგორია - 12 ოჯახი. ხემაღალსა და ღვერკში განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს რამდენიმე ეტაპად გაეწია ფინანსური და სხვა სახის დახმარება.

06 03 18 უფასო სასადილოს დაფინანსება 281 300 ლარით დაიგეგმა. სათნოების სახლი ემსახურება 160 ბენეფიციარს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე. დახმარების მიმღებია ჯამში 315 ბენეფიციარი.

06 03 19 სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და საგრანტო პროექტების ხელშეწყობის ქვეპროგრამით განსაზღვრულია წითელი ჯვრის საქმიანობის ხელშეწყობა.

06 03 20 გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა მოიცავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოქალაქემ ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. საანგარიშო პერიოდში განხილული იქნა 44 განცხადება და გაიწია შესაბამისი დახმარება.

06 03 21 ომისა და სამხედრო ძალების დახმარების ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 78 ვეტერანმა.

06 03 22 არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამა წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას, მიტოვების პრევენციას, კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაწეულია განხილულია 65 ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე და დახარჯულია ამ მიმართულებით 64 250 ლარი. გარდა ფინანსური დახმარებისა, განყოფილების მულტიპროფილური გუნდის ინიციატივით პერიოდულად ხორციელდება საქველმოქმედო აქტივობები, რომლის ფარგლებშიც საჭიროების მიხედვით ბენეფიციარებს მიეწოდებათ სეზონურ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სხვა საჭირო ნივთები, საკანცელარიო მასალა და განმავითარებელი რესურსი.

• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის სოციალურ პროგრამებზე 2024 წელს გამოყოფილი იქნა 45 123 ლარი, ხოლო მიმდინარე წელს ამ დრომდე გამოყოფილია 163 000 ლარი.

• ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ როგორც გასულ წლებში, ასევე მიმდინარე წელსაც წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. კერძოდ, კვლავ ხორციელდება გეგმიური ვაქცინაციის პროცესი და ეპიდზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში მონიტორინგი მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს C ჰეპატიტსა და შიდსზე სწრაფ ტესტირებას და ც ჰეპატიტზე სკრინინგ დადებითი პირების შემდგომი კვლევის, მკურნალობაში ჩართვისა და მიდევნების პროგრამას. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინიგის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სკრინინგის მსურველი ბენეფიციარების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამსახური.

სეზონური გრიპის ვაქცინაცია ტრადიციულად ტარდება შემოდგომაზე, რომლითაც ისარგებლებლებს როგორც რისკ-ჯგუფის მქონე პირები, ისე ნებისმიერი მსურველი. ინტერნეტ გვერდის მეშვეობით საზოგადოებას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა დაავადების, აქტუალური სამედიცინო თემებისა და ზოგადად პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

• მუნიციპალიტეტის მერიაში აგრეთვე მოქმედებს და წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისია, სადაც დაუყოვნებლივ ხდება განხილვა და რეაგირება სასწრაფო და მნიშვნელოვან საკითხებზე.

ეკონომიკა

როგორც გასულ წელს, ასევე საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის სფეროს მიმართულებით. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ქონების სწორად მართვისა და განკარგვის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულომ საანგარიშო პერიოდში მიიღო 2 იჯარისა და 1 უზუფრუქტის შესახებ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული განკარგულებები.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 6 უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომელიც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

ასევე დღეის მდგომარეობით სულ გაფორმებული არის 16 იჯარის ხელშეკრულება, საიდანაც საანგარიშო პერიოდში იჯარის ქირიდან სულ შემოსული არის 63116 ლარი.

განხორციელდა 1 (ერთი) პრივატიზება, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N8ბ-ს მიმდებარე 14 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, პრივატიზების თანხაა 2200 ლარი.

საკრებულოს მიერ დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების განახლებული გეგმა.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულია 63550 ლარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გარეულ ცხოველთა გარემოდან ამოღების მიზნით შეიქმნა ფიზიკურ პირთა (მონადირეთა) ჯგუფი და გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მოხდა გარემოდან 2 ინდივიდი მგლის ამოღება.

ზედამხედველობა და არქიტექტურა

საკრებულო ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ზედამხედველობისა და არქიტექტურის კუთხით განხორციელებულ საქმიანობას. ამ მიზნით, საკრებულოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მიღებულ იქნა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები, რომლებიც უზრუნველყოფს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, შესრულებული სამუშაოების ვადების კონტროლს, არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის და გარე ვაჭრობის რეგულირებას, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს.

ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წელს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა 22 ობიექტზე.

1. სოფელ ნებოძირში ავტოსერვისის შენობა-ნაგებობიისთვის (თამარ ლაცაბიძე)

2. სოფელ ღარიხევში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (თეა ჩადუნელი)

3. სოფელ უბისაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (გიორგი სახვაძე)

4. სოფელ საღანძილეში ბეტონის მობილური ქარხნის და ქვის სამსხვრევის შენობა-ნაგებობისთვის (შ.პ.ს. „როხი და კომპანი“)

5. სოფელ ფარცხნალში შინაურ ფრინველთა სადგომის შენობა-ნაგებობისთვის (ლევან ბუაჩიძე)

6. სოფელ ხორითში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ზურაბ სილაქაძე)

7. სოფელ ღორეშაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (თამაზ ჭუმბურიძე)

8. დაბა ხარაგაულში, ნიორაძის ქუჩაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ნინო ცხოვრებაძე)

9. სოფელ ლაშის იგორეთში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ცისანა მანჯავიძე)

10.სოფელ კიცხში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ბესიკი გიორგაძე)

11.სოფელ გრიგალათში საბაზო სადგურის ნაგებობისთვის (შ.პ.ს. მაგთიკომი)

12.სოფელ წიფაში საბაზო სადგურის ნაგებობისთვის (შ.პ.ს. მაგთიკომი)

13.სოფელ კიცხში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ავთანდილ მასხარაშვილი)

14.სოფელ ჯაფარაულში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (დავით ხვედელიძე)

15.სოფელ კიცხში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ლაშა გიორგაძე)

16.სოფელ საღანძილეში საბაზო სადგურის ნაგებობისთვის (შ.პ.ს. მაგთიკომი)

17.სოფელ ბორითში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახი დამხმარე სათავსოს შენობა-ნაგებობისთვის.

18.სოფელ ნადაბურში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (მარო გელაშვილი)

19.დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩაზე პროფსასწავლებლის შენობა-ნაგებობისთვის (სახელმწიფო)

20.სოფელ ღორეშაში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (მამუკა კურტანიძე)

21.სოფელ ლეღვანში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (მარიამ ბექაური)

22.სოფელ ვარძიაში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (დავით კოჩაძე)

ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურმა, 2025 წელს ადმინისტრაციული წარმოება დაარულა და მშენებლობის ნებართვა გასცა 12 სხვადასხვა საქმეზე:

მშენებლობის ნებართვა № 1: სოფ. ჯაფარაულში, ბლოკის დამამზადებელი საამქროს შენობა-ნაგებობისთვის (ზაზა კაციტაძე, ნიკოლოზ მღვდელაძე)

მშენებლობის ნებართვა № 2: დაბა ხარაგაულში, სავაჭრო ობიექტის შენობა-ნაგებობისთვის (დავით ოჩიგავა)

მშენებლობის ნებართვა № 3: სოფელ საღანძილეში, ბეტონის მობილური ქარხნის და ქვის სამსხვრევის ნაგებობებისთვის (შ.პ.ს. „როხი და კომპანი“)

მშენებლობის ნებართვა № 4: სოფელ უბისაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (გიორგი სახვაძე)

მშენებლობის ნებართვა № 5: სოფელ ღორეშაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (თამაზ ჭუმბურიძე)

მშენებლობის ნებართვა № 6: სოფელ ხორითში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ზურაბ სილაქაძე)

მშენებლობის ნებართვა № 7: სოფელ ლაშის იგორეთში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ცისანა მანჯავიძე)

მშენებლობის ნებართვა № 8: სოფელ ხუნევში, საბაზო სადგურის ნაგებობისთვის (შ.პ.ს. მაგთიკომი)

მშენებლობის ნებართვა № 9: სოფელ კიცხში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ავთანდილ მასხარაშვილი)

მშენებლობის ნებართვა № 10: სოფელ ხევში, საბაზო სადგურის ნაგებობისთვის (შ.პ.ს. მაგთიკომი)

მშენებლობის ნებართვა № 11: სოფელ ჯაფარაულში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (დავიტ ხვედელიძე)

მშენებლობის ნებართვა № 12: დაბა ხარაგაულში ნიორაძის ქ. I შესახვევში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობისთვის (ნინო ცხოვრებაძე).მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისთვის:

2025 წელს, ამ დრომდე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის სახით ბიუჯეტში შემოსულია 2624 ₾.

საანგარიშო პერიოდში ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად იქნა აღიარებული 9 ერთეული შენობა-ნაგებობა, მათ შორის 5 ერთეული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და 4 ერთეული კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობა:

1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-ირაკლი ტაბატაძე, სოფელი ისლარი;

2. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-დარეჯან ექვთიმიშვილი, სოფელი ქვები;

3. სამზარეულო და სველი წერტილი-გია ბაბლიძე, 9 აპრილის ქუჩა;

4. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-ნინო ცხოვრებაძე, ნიორაძის ქუჩაN14;

5. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-დიმიტრი ჩადუნელი, სოფელი წაქვა;

კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობა:

1. საბავშვო ბაგა-ბაღი სოფელი კიცხი;

2. შპს „მაგთიკომის“ საბაზო სადგური სოფელი მოლითი;

3. კომერციული დანიშნულების შენობა სოლომონ მეფის ქ 22 თამაზ ლურსმანაშვილი;

4. სამშენებლო ბლოკის საამქრო სოფ ჯაფარეული ზაზა კაციტაძე ნიკოლოზ მღვდელაძე;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოვლენილია 8 ერთეული სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, შესაბამისად სამსახურის მიერ მათ მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე, კერძოდ შედგენილია მითითების ოქმები და შემოწმების აქტები, მიმდინარეობს დოკუმენტაციის მოწესრიგება, რათა უკანონო მშენებლობები მოქცეული იქნას კანონის ფარგლებში. უნებართვო მშენებლობისა და სანებართვო პირობების დარღვევისათვის გადახდილმა ჯარიმებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1200 ლარი.

საკრებულოს საქმიანობაში არსებული ხარვეზები და გასატარებელი ღონისძიებები

ჩემ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შევეცადე, მოკლედ მომეთხრო იმ ღონისძიებების თაობაზე, რომელსაც საკრებულოს შემადგენლობა და საკრებულოს აპარატი ვახორციელებდით საანგარიშო პერიოდში, თუმცა, არ შეიძლება გვერდი ავუარო იმ ხარვეზებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, თვითკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს.

უნდა აღვნიშნო, რომ საკრებულომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხებში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, საკრებულოს წევრთა მიერ, მეტი დრო უნდა დაეთმოს მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარდგენის საკითხებს, მათ ინფორმირებულობას მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობების, მუნიციპალიტეტის განვითარების გზების, თვითმმართველობის წინაშე მდგომი გამოწვევის თაობაზე.

დასახვეწია საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლის მექანიზმები. საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს ფრაქციების, კომისიების მიერ, მათი ანგარიშების მოსმენა უფრო მიზანმიმართული და სიღრმისეული უნდა იყოს, მათი საქმიანობის შეფასებისას ნათლად უნდა გამოისახოს არსებული პრობლემები და დაისახოს მათი დაძლევის კონკრეტული გზები და ამოცანები. უნდა გაძლიერდეს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლის მექანიზმი. სასურველია, საკრებულოს კომისიებმა პერიოდულად იმსჯელონ თავიანთ სხდომებზე, მათი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხთა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ შესაბამისი რეკომენდაციები. საკრებულოს წევრებმა მეტად უნდა ისარგებლონ ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი შეკითხვის წესით საკითხის დასმის შესაძლებლობით. აღნიშნული, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, საგრძნობლად გამორიცხავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში არსებულ პრობლემებს.

ბოლოს, გამოვთქვამ რწმენას, რომ მომავალი, ახალარჩეული საკრებულო უფრო გააქტიურებს საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. თითოეული საკრებულოს წევრი მეტ პასუხისმგებლობას გამოიჩენს იმ მოვალეობათა შესრულების საქმეში, რომლებიც გვაკისრია ჩვენი ამომრჩევლების, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის წინაშე.